

სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემოწმების რეკომენდაცია

სასწავლო კურსის სახელწოდება:

სასწავლო კურსის სახელწოდება შემოკლების გარეშე და ზუსტად უნდა ემთხვეოდეს პროგრამაში არსებულ კონკრეტული სასწავლო კურსის შესაბამის დასახელებას. ერთი და იგივე სასწავლო კურსი ყველა პროგრამაში უნდა მოიცავდეს ერთნაირი რაოდენობის კრედიტებს და არსად არ უნდა მეორედებოდეს იდენტური დასახელების საგანი კრედიტების სხვა რაოდენობით.

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული პროგრამის დასახელება უნდა ემთხვეოდეს იმ პროგრამის დასახელებას რომელსაც იგი ახლავს თან.

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური:

აუცილებლად მონიშნული უნდა იყოს შესაბამისი პროგრამის საფეხური.

ავტორი:

სილაბუსის ავტორი უნდა იყოს ერთი.

სილაბუსის ავტორის ელ-ფოსტა არ უნდა იყოს დაბოლოებული mail.ru-თი,

სტუ-ს ყველა აკადემიურმა პერსონალმა, სრულმა და ასოცირებულმა პროფესორმა, უნდა მიუთითოს სტუ-ს ელექტრონულ ბაზაში ფიქსირებული საკუთარი ელექტრონული მისამართი. (gtu.ge)

უნდა იყოს მითითებული მისი აკადემიური თანამდებობა (სრული ან ასოცირებული პროფესორი), თუ მოწვეულია ამ შემთხვევაშიც რა პოზიციაზე იქნა მოწვეული. საკონტაქტო ტელეფონის და ელ-ფოსტის მითითება აუცილებელია.

სასწავლო კურსის მიზანი:

სასწავლო კურსის მიზანი ჩამოყალიბებული უნდა იყოს მოკლედ, ლაკონურად და გასაგებად. უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რას შეასწავლის ეს პროგრამა სტუდენტს და არა იმის შესახებ თუ რა ეცოდინება სტუდენტს ამ კურსის დამთავრების შემდეგ. წაკითხვისას უნდა ირკვეოდეს მიზანი რომელ სასწავლო კურსს ეხება.

კრედიტების რაოდენობა:

სილაბუსში მითითებული კრედიტების რაოდენობა აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს პროგრამაში კონკრეტული სასწავლო კურსისთვის მითითებულ რაოდენობას.

საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (კვირა/სემესტრი):

საათების განაწილება აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს პროგრამის სასწავლო გეგმაში მითითებულ საათების განაწილებას. ნებისმიერი საკონტაქტო საათი უნდა იყოს 15-ის ჯერადი, საკონტაქტო საათების რაოდენობა უნდა იყოს პროგრამით მისთვის გამოყოფილი კრედიტის საერთო რაოდენობაზე ერთით ნაკლები.

დაშვების წინაპირობები:

სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობებში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული სასწავლო კურსი/კურსები, რომლებიც აუცილებლად ისწავლება ამავე პროგრამაში. იმ შემთხვევაში თუ სასწავლო კურსს არ გააჩნია დაშვების წინაპირობა იწერება ფრაზა „არ გააჩნია“. სილაბუსში მითითებული დაშვების წინაპირობა უნდა ემთხვეოდეს პროგრამაში მითითებულ ამავე სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობას.

სწავლის შედეგები:

სწავლის შედეგები ნათლად და გასაგებად უნდა ასახავდეს სწავლის შედეგს. აკონკრეტებდეს ამ კურსის ათვისების შემთხვევაში რას შეძლებს სტუდენტი.

შინაარსი:

ლექცია – ყოველკვირეულად უნდა იყოს მითითებული როგორც სალექციო თემის დასახელება, ასევე თითოეული მათგანის მოკლე შინაარსი. ჩამონათვალი აუცილებლად უნდა შედგებოდეს 15 თემისაგან და უნდა იქნეს ცალ-ცალკე გაწერილი.

სემინარი – ყოველკვირეულად უნდა იყოს მითითებული როგორც სემინარის თემის დასახელება, ასევე თითოეული მათგანის მოკლე აღწერილობა. აუცილებლად უნდა შედგებოდეს 15 თემისაგან და თითოეული უნდა იქნეს ცალ-ცალკე გაწერილი.

პრაქტიკული – ყოველკვირეულად უნდა იყოს მითითებული როგორც პრაქტიკული თემის დასახელება, ასევე თითოეული მათგანის მოკლე შინაარსი. აუცილებლად უნდა შედგებოდეს 15 თემისაგან და უნდა იქნეს ცალ-ცალკე გაწერილი. **არ შეიძლება** მისი დასახელებები იყოს სალექციო თემატიკის იდენტური.

ლაბორატორიული – ყოველკვირეულად უნდა იყოს მითითებული, როგორც ლაბორატორიული თემის დასახელება, ასევე თითოეული მათგანის მოკლე შინაარსი. აუცილებლად უნდა შედგებოდეს 15 თემისაგან. **არ შეიძლება** მისი დასახელებები იყოს სალექციო თემატიკის იდენტური.

საკურსო სამუშაო/პროექტი – გაწერილი იყოს 15 მეცადინეობად, საკითხად. ნათლად და თანმიმდევრულად უნდა იყოს გაწერილი საკურსო პროექტის შესრულების ეტაპები.

პრაქტიკა – ასეთის არსებობის შემთხვევაში პრაქტიკა უნდა გაიწეროს ნათლად და გარკვევით. პრაქტიკის საკითხები გაწერილი უნდა იყოს რაც შეიძლება გარკვევით და დაკონკრეტებით, თუმცა არაა აუცილებელი გაწერილი იყოს 15 საკითხად.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები – აუცილებლად უნდა იყოს შევსებული საკონტაქტო საათების შესაბამისი უჯრა, ასევე აუცილებელია „დამოუკიდებელი მუშაობის“ უჯრაც იყოს შევსებული.

შეფასების კრიტერიუმები (კომპეტენტურობა):

აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს პროგრამაში არსებულ კომპეტენტურობებს და აუცილებლად უნდა იყოს მონიშნული შესაბამისი უჯრა.

ძირითადი ლიტერატურა

როგორც ძირითად ისე დამხმარე ლიტერატურას უნდა მიეთითოს სტუ-ს ბიბლიოთეკის მიერ მინიჭებული ინექსი(შიფრი) და ლიტერატურის რეკვიზიტები.

ძირითადი ლიტერატურა უნდა იყოს ქართულ ენაზე.

დამხმარე ლიტერატურა

დამხმარე ლიტერატურა შესაძლებელია მითითებული იქნეს როგორც ქართულენოვანი ასევე უცხოურენოვანი სახელმძღვანელოები.

აუცილებლად შემოწმდეს აქვს თუ არა სილაბუსს ყველა საჭირო ხელმოწერა და ფაკულტეტის ბეჭედი.